№ 147
ივლისის 8, სამშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 147
ივლისის 8, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 6 მანეთად.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

უმთავრესი კანტორა მ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები [illegible]. კანტორა და მაღაზია ღვინის ფაბრიკისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩ., ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

[illegible]

ღვინო ისყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. [illegible], ტელეფ. № 595.

[illegible] № 2, [illegible], ტელეფ. № 210

[illegible] № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარ სახლი, ტელეფონ. № 60.

[illegible] (25—5.—24)

საწყობი ქაღალდის

დიტიატკოვსკის ამხანაგობის

მოსკოვი 1882 წ. — ფიგურორ. 1896 წ.

საწყობ-ქაღალდის ქარხნისა ტფილისში

ქაღალდი [illegible]

მაღაზია [illegible]

ბათა. საქონელი ფაბრიკის ფასად.

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—9)

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცდა ექვსი (46) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

46 ვაკანსიიდან—45 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არი არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანცელარიისაგან,** ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—30 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1903—1904 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—8)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ჰ. ი. ბჟელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და ჩარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ლ. მ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გათებსსაუკე ძლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

მ. დ. დამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და შაბათობით 11—12 ს.

ზრ. მ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## ტფილისი

✦ გენერალ ადიუტანტს თ-დს ზაქარია ჭავჭავაძეს 27 ივნისს ჰქონდა ბედნიერება და წარსდგა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის წინაშე.

✦ კავკასიის მთავარ-მართებელი თ-დი გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ 5 ივლისს პეტერბურგიდგან წამოსულა კავკასიისკენ და 11 ივლისს ბაქოზედ ტფილისს ჩამოვა. მთავარ-მართებელს თან ახლავს მისი სამგზავრო კანცელარია.

✦ კავკასიის მთავარ-მართებელი თ-დი გ. ს. გოლიცინი კავკასიაში რომ დაბრუნდება, მალე ბათუმს გაემგზავრება. თან ეხლებიან კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ნ. ბელიავსკი და მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი გენერალი ვ. ტროფიმოვი.

✦ კიევის სასულიერო აკადემიის რექტორმა, ეპისკოპოზმა პლატონმა დაათვალიერა საეკკლესიო მუზეი სიონის ტაძართან და სტუმართა წიგნში ჩასწერა: „7 ივლისს ვნახე მრავალი და განსაცვიფრებელი ხელთ-ნაწერი, რომელიც ფას-დაუდებელია წირვა-ლოცვისა და ეკკლესიის ისტორიისათვის და რომელიც ჯერ არ გაუცვნია მეცნიერებასა და ქვეყნიერებას... ვსთხოვ ჩოსწავლე ქართველ ახალგაზდობას, მიაპყრას თვისი განსაკუთრებული ყურადღება ამ სამს იშვიათის საუნჯით სავსე შკაფს. მადლობას ეტყვის ყველა, ვისთვისაც ძვირფასია წმ. ეკკლესია და მისი ცხოვრება".

✦ წარსულს კვირა დღეს, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში წირვაზედ იგალობეს და მოეხმარნენ სოფლის სამრევლო სკოლების მასწავლებელნი, კაცი და ქალი, ოც და ათამდე. ქვაშვეთის ეკკლესიაში ამ დღეს მწირველი იყო ფერისცვალების მონასტრის მღვდელ-მონაზონი გაბრიელი, დეკანოზის ესტატე ელიაშვილის მაგივრად, რომელიც იმ დილით სუსტად გახდა. გალობას სამ ხმაზედ ამბობდნენ მამა ფილიმონ კარბელაშვილის მონაწილეობით. დეკანოზმა ელიაშვილმა მთელი წირვა მოისმინა და შემდეგ წირვისა მადლობა გადაუხადა მასწავლებლებს და საგულისხმიერო სიტყვა უთხრა და ურჩევდა, იყავით ჭეშმარიტნი განმავრცელებელნი და დამამტკიცებელნი ჩვენს ერში სულიერის სინათლისა და სიკეთისაო. შემდეგ დეკანოზმა ესტატე ელიაშვილმა ყველას თვითოეულად დაურიგა წმიდა ნინოს ხატი.

✦ ქალაქში არსდება დედათა მე-4 გიმნაზია, რომლისათვისაც სადგური უკვე დაიქირავეს ვერაზე, თაიროვის სახლში. პირველ ხანს ეს გიმნაზია ოთხ-კლასიანი იქმნება და შემდეგ ყოველ წელს თვითო კლასი მოემატება, ვიდრე სრულ გიმნაზიად არ გადაიქცევა.

✦ რამდენსამე დღეს ბაქოდან არც ერთი მატარებელი არ გამოსულა, არც საქონლისა და არც სახალხო. ამის გამო რკინის გზის უფროსი და სხვა მოხელენი ბაქოს წავიდნენ.

✦ თანახმად იმ კომისიის მოხსენებისა, რომელიც ქალაქის საბჭომ აირჩია ცხენის რკინის გზის მეთვალყურედ, ქალაქის გამგეობამ დააჯარიმა ბელგიის უსახელო საზოგადოება იმის გამო, რომ რიგიანი ფარნები არ არის ვაგონებში და საზოგადოებას უნდა შეეცვალა, თანახმად ხელ-შეკრულობისა. ეს ჯარიმა, კომისიის ანგარიშით, შეადგენს 3,190 მანეთს, თუმცა თვით ფარნებიც ამ ფასად არა ჰღირს. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ხსენებულ რკინის გზის გამგეს, რომ ჯარიმა ეხლავე გადაიხადოს. გზის გამგემ მოახსენა ქალაქის მოურავს, რომ ეგ უსამართლობააო. ამ დღეებში ქალაქის გამგეობას ექმნება მსჯელობა ამ საქმას გამო და რკინის გზის გამგესაც მიიწვევენ.

✦ ტფილისის მამულები 1900 წელს დაფასებული ყოფილა საქალაქო ხარჯის გასაწერად 52.964,260 მანათად. შემდეგ თანდათან მამულების ფასს უმატნია: 1901 წ. ასულა 54.829,799 მანათამდე, შემდეგ 1902 წ.—57.199,561 მან. და ამ წლის 1 ივლისისათვის სამოც მილიონ მანათს გადაიჭარბა.

✦ ჩვენ მივიღეთ ახალი რუსული წიგნაკი გ. ი. თიებოს-მიერ შედგენილი, რომელშიაც მოთავსებულია მისი შენიშვნები სოფლის ცხოვრების ცოდნის სამეურნეო და სამრეწველო საჭიროებათა შესახებ. ეს შენიშვნები იბეჭდებოდა ს—მეურნეო საზოგადოების გამოცემაში. წიგნაკი დაბეჭდილია ი. კიღაძისა და ი. ხელაძის სტამბაში სუფთად და შნოიანად. ფასი 50 კაპ. აწერია.

✦ ავლაბარში, ხოჯივანქის ქუჩაზე, 4 ივლისს რადაც მიზეზის გამო ლაპარაკი მოსვლია ყაზარა მენახშიროვს თავის გერთან და საცემრად შწევია. გერმა იძრო დანა და მენახშიროვი ხუთს ადგილს დასჩრა. დაჭრილი მიხეილის სავად-მყოში გაგზავნეს და დამნაშავე ავლაბრის საპოქუდოში დაამწყვდიეს. ყაზარ მენახშიროვი ეხლა უკეთ გამხდარა და დაპატიმრებული მისი გერიც გაუნთავისუფლებიათ.

---

### შეცდომის გასწორება

ფელეტონში „შურდული" მეორე სვეტზე დაბეჭდილია: „ყოველ წლიური შემოსავალი იმ მიწისა და ხელოსნობისა გადააჭარბებს ოცი ათას თუმანსა". უნდა იყოს; „გადააჭარბებს ოცი ათას მანეთსა".

---

## რეხელი ქართველები ბორჩალოში

(ეტნოგრაფიული შენიშვნები)

(დასასრული *)

ზ. ვაჟის დანიშვნა-დაქორწინება.

რეხელები ქალსა თხოულობენ: ჯავახეთიდამ, გომარეთიდამა და თვით თავიანთ სოფ. რეხაშივე. წალკის ბერძნებს რეხელები ქალს არცა სთხოვენ და არც მიათხოვებენ, თუნდაც ასი თუმანიც პირაქეთ მოუტანოს სასძლოს. თუ რეხელმა ქალი დანიშნა თვით რეხაშივე, ისე უნდა მოიქცეს და მისატანიც მიიტანოს, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ხოლო თუ სხვაგან მოუხდა დანიშვნა, გომარეთში, ან არა და ჯავახეთში, მაშინ ცოტა რამ მეტი ხარჯი უქნება. ჯავახელები რეხელებს მუშტრის თვალით უყურებენ და განგებ ინაზებიან, შუამავლებს ეუბნებიან, ჩვენს ქალს რეხაში არ გავათხოვებთო. ამ ჟამად კი, ორას-სამასზედ მეტია იქიდამ გამოთხოვილი ქალი რეხაში. ძალიან შორსაა, მთიანი საცხოვრებელი ადგილია და სხვანიო. ის-კი არა, ჯავახელები რეხელებს სიხარულით მისცემენ ქალსა, მაგრამ სცდილობენ როგორმე მეტი რამ დაათალონ, რადგან იმათაც რეხელები ისე ექცევიან და გალს გადახდა უნდა.

რეხელი ვაჟს ადრე ჰრთავს ცოლსა, თუ პირველია და ჯარის-კაცად არ გაიყვანებენ. ესე 18—19 წლისას; თუ მეორეა და სხ... მაშინვე, როგორც კენჭი ასცდება, ან ჯარის-კაცობის სამსახურის ვადას შეასრულებს და შინ დაბრუნდება, იმ წელსვე ქალს მოჰგვრიან.

თუ ჯავახელებსა და გომარელებს როგორმე არ მოურიგდნენ რეხელები, მაშ, საიდან უნდა უთხოვონ თავიანთ ვაჟიშვილებს ქალები? ამ ორ მხარეს იქით გასაქანი გზა არა აქვთ. რეხაშიაც ცოტაა ხოლმე გასათხოვარი ქალები და, თუნდაც ბევრნი იყვნენ, არ გახვდებათ, რადგან ზოგნი ნათლმირონი გამოდგება, ან და ზოგნიც ახლო მონათესავენი...

რეხელებმა გომარელებსა და ჯავახელებს, რაც ზემოთაა ნათქვამი, იმაზედ მომეტებული უნდა მიუტანონ და არა ნაკლები ბედგისა, ნიშნობისა და ქორწილის დროს. ამ ხარჯს გარდა, თავისს ოჯახშიაც დიდს ხარჯსა სწევენ და საქორწილო თადარიგს გაფაციცებით უნდა შეუდგნენ: მაგ. ორმოც-სამოც თუნგამდისინ მაინც უნდა იყიდონ ოსებისაგან ღვინის არაყი საქორწილოდ. საკლავად კარგი მსუქანი ერთი ან ორი ხარი, ხუთი და ათი მოვლილი ცხვარი უნდა მოამზადოს. ბლომად დაფქვილი უნდა იზრუნოს პურის გამოსაცხობად და, ოჯახის შეძლებისა და გვარად, კიდევ რამ წვრილმანი ხარჯი უნდა გასწიოს. ზოგნი ღვინოსაც გაახვენ ქორწილში, რომ მით თავი ისახელონ და ქორწილის ხალხიც მადრიელნი დარჩნენ. სამეფოს გაგზავნის დრო რომ მოახლოვდება, მექორწილე ოჯახი შეუდგება პურის ცხობას თურნეში. მაყრებს წაიყვანენ ზურნა-დაფის დაკვრით იმის სახლში, ვინც მეჯვარედ უნდა გაჰყვეს სამეფოს. ვინც ქალის მოსაყვანად უნდა წავიდნენ: მეფე, მეჯვარე და მაყრები, ყველანი აქ მოწვეულ „საიქიოს" ღალაქს პირებს დააპარსვინებენ და თმას გაკრეჭინებენ. შემდეგ აქვე საგარეო ტანისამოსით მოიკაზმებიან. მეჯვარე გაუმასპინძლდება და მზის ჩასვლის დროს ყველანი დალამაზებულ-დასუფთავებულნი და სასიამოვნოდ მორთულ-მოკაზმულნი ზურნის კვრით მეჯვარის სახლიდამ სამეფოს სახლში მოვლენ. აქ

*) იხ. „ივერია", № 43.

ყიჟინით, სიმღერითა და ლოცვით დახვდებიან დაპატიჟებულნი გზირის მიერ სოფლელნი, კომლზედ ერთი კაცი. რამდენისამე ხნის შემდეგ ყველანი დასხდებიან დარბაზში. მასპინძელი გაუმასპინძლდება ლობიოთი, კართოფილით და პურ მარილით მეფის გზის დასალოცავად ხალხს შეჰყრიან, პურს აჭმევენ და ასმევენ მუდამ მარხვა დღეობით, უფრო პარასკევ დღესა, რადგან რეხელს კვირა დღეს საღამოთი უნდა მოუყვიდეს სახლში ახალი მეფე-პატარძალი. მეფიანი შაბათ დღეს უნდა გაისტუმრონ ქალიანთა. მასპინძელი თვითოეულ მოსულთაგანს სამ-ოთხ ჭიქა არაყს გადახუხვინებს. როცა დანაყრდება ხალხი და თავიანთ ხვედრს სამ-ოთხ ჭიქა არაყს ირგუნებს თითოეული, წამოიშლებიან, მასპინძელს მადლობას გადაუხდიან, სამეფოს, მაყრებს და მეჯვარეს დაჰლოცავენ, უსურვებენ კეთილს მგზავრობას და წავლენ თავიანთ სახლებში. მასპინძელი ხალხის წასვლისთანავე მგზავრებს საჩქაროდ მოუმზადებს საწოლებსა და დააძინებს. ერთ დასტა სოფლის მეზურნეებსაც მოაყწოდებს. ერთ ერთ დარბაისელ კაცს თავის ოჯახიდამ მიუჩენს წასასვლელ მგზავრებსა: ის უნდა წინ მიუძღვოდეს მგზავრებს წასვლა-მოსვლაშია, ფულის მიცემა-დახარჯვაში, წესიერების დაცვაში და სხ... მასპინძელი ყველას საერთოდ დაულოცავს გზასა, შესვამს ყველას ცხენებზედა და გაუყენებს გზასა. თვით წასვლა-მოსვლაში რაც სასმელი დასჭირდებათ, იმასაც ხურჯინით გაატანს. მეფიანი წავლენ და მექორწილენი საკლავებს დახოცავენ, ყველასფერს მოახაზირებენ, გაასამაგისებენ, რომ მეფის მოსვლის დროს მოტანის მეტი არასფერი დასჭირდეთ. სანამ მეფის მოსვლას მახარობელი არ აუწყებს, მანამ ხორცეულობას მოსახარშად ცეცხლზედ არ შემოსდგმენ. მზის ჩასვლისას უეჭველად უნდა მოვიდეს მახარობელი, თუ მეფიანთ არა უჭირთ-რა. როგორც გაიგებენ მახარობლის მოსვლასა, მთელი სოფელი, ქალი თუ კაცი, ყველანი მექორწილეთა ბანზედა დასხდებიან და მეფე პატარძლის მოსვლას მოელიან.

გამოჩნდებიან თუ არა მეფიანი, სოფლიდამ ყმაწვილი კაცები მიეგებებიან ცხენებითა. ასტეხენ ცხენების ჯირითსა, ხან ადმა გააქანებენ, ხან დაღმა, ხან მექორწილეს კარებთან მოიჭრებიან თქარა-თქურით და ისევ უკანვე გაბრუნდებიან; ბოლოს ცხენოსნები ერთად შეჯგუფდებიან და სიმღერით მეფე-პატარძალს მოაცილებენ მექორწილეს სახლის კარ-მიდამოზედ. ერთი კაცი დაიჭერს მეფე-პატარძლის ცხენებს. გასათხოვარი ქალები გამოცვივიან სახლიდგან და მეფე-პატარძლის წინ ფერხულს დაიბმენ. რეხელი მეზურნეებიც თავიანთებურად უკრავენ. თამაშის დროს ერთი კაცი ხმა-მაღლა უყვირის „შაბაშ“! თითო ოროლა კაპეიკს შაბაშის ფულად გადაუგდებენ ზოგიერთნი მაყურებელნი. ყმაწვილი ქალები ცოტა ხნის შემდეგ ფერხულს ჩამლიან და შეცვივიან ისევ ოთახში; ახლა ბებერ კაცებს და ქალებს ათამაშებენ მეფე დედოფლის წინა; ამათი თამაშიც რომ ჩამოთავდება, მოიყვანენ ჭედილა ცხვარსა და მეფე-პატარძლის წინ დააყენებენ. გამოვა ხალხიდამ მკლავ ღონიერი ყმაწვილი კაცი ამოწვდილის ხანჯლითა და ერთის დაკვრით ფეხზე მდგომ ჭედილას თავს გააგდებინებს და მოჭრილ თავს მადლი ჭერში შეისვრის. ხალხში ამ დროს ერთი დიდლი ასტუდება. თავ მოჭრილ ჭედილას ხალხის წრიდამ წაიღებენ და მოიტანენ საარაყე ქვაბსა, დასდგმენ პირქვე პატარძლის ცხენს ახლო; ამ დროს პატარძალს საჩქაროდ ცხენიდამ ჩამოსვმენ და ქვაბზედ შეაყენებენ; მეფე-მეჯვარეც ცხენებიდამ დაუყოვნებლივ გადმოხტებიან და პატარძალს გვერდით ამოუდგებიან—მეფე მარჯვენა მხრიდამ და მეჯვარე მარცხენიდან ხელში დიდის ხის ჯვარითა, რომელზედაც ერთი ორი ქათმის თავის, რამდენიმე ვაშლი და სხვა რამ ხილია ჩამოკიდული. გამოვლენ შუა ხნის ქალები ოთახიდან მწკრივ-მწკრივად და პატარძალს ჰკოცნიან. თავზედ გადაახურავენ სათითაოდ ბადრადებსა და უკან ბრუნდებიან. ბადრადებს პატარძალს ჰხდის ერთი კაცი და თვითონ ინახავს. ბადრადების გადახურვაც რომ ჩამოთავდება, პატარძალი ჩამოხტება ქვაბიდამ ძირს, რაც ძალი და ღონე მოსდევს გაიქნევს უკან ფეხს, მოარტყავს ქვაბსა და რამდენისამე საჟენის სიშორეზედ გააგორებს. მეზურნეები დაუკვრენ ზურნასა და მეფიანთ სახლში შეიყვანენ. პატარძლს ქალები გაიტყუებენ მეორე ოთახში და კარს შემოუხვევიან.... მეფე — მეჯვარეს და მაყრებს დასხმენ ცალკე ოთახში. მაყრები ჩახლეჩილის ხმით მღერიან და აქვთ ერთი ამბავი... სოფლის მაყურებელნი წავლენ თავ-თავიანთ სახლებში და სოფლის გზირისაგან დაპატიჟებას მოუთმენლად მოელოდებიან...

დაბინდებისას სოფლის გზირი ყველა მეკომურს ბანიდამ ჩასძახებს: ესა და ეს მექორწილე გთხოვთ, ვინც-კი ოჯახში ხართ, ეწვიოთ ქორწილში. ისინიც ამოსძახებენ გზირსა, მადლობა გამოუცხადე ჩვენს მაგიერ, გზირო, მექორწილესა, ვეწვევით, მა, რას ვიზამთ. ღამ-პატარამდისის, სქესის განურჩევლად, მიისწრაფიან მთელის სოფლის მცხოვრებნი მექორწილეს ოჯახში. სახლში რჩებიან უძლურნი და ძალზედ წვრილი გოგო-ბიჭები. რეხელებს ერთს დღეს ორი ან მეტი ქორწილი არასოდეს არა აქვთ, სულ თითო იციან, რადგანაც არ შეიძლება, რომ ყველანი არ დაესწრნენ ქორწილში. მათი უმთავრესი გასართობი ქორწილია. რეხელებმა უეჭველად ქორწილი უნდა მოახდინონ ზამთარში, ახალ-თებერვალში. რაც უნდა შეძლებული იყოს და ყოველისფერი მზად ჰქონდეს, სხვა დროს მაინც არ მოახდენს ქორწილსა.

თავს მდგომნი დასხამენ მოწვეულ ხალხსა ცხელ ბოსელში, ან დარბაზში, წლოვანობის და შეძლებისა და გვარად. მეფე, მეჯვარე და მაყრები მოწვეულ ხალხთან ერთად არა სხედან; ისინი ცალკე სხედან ტახტზედ და მეზურნეებიც იმათთან არიან. მდედრობითის სქესისანი სხვა ოთახში დასხდებიან და პატარძალსაც მაშინ ჩასხმენ.

როცა შეატყობენ რომ ხალხი დალაგდა და მოსასვლელებიც აღარავინ არიან, საჩქაროდ ხალხის წინ სუფრებს დაამწკრივებენ; უხვად დააწყობენ პირველად პურსა და ყველსა, შემდეგ მოაყოლებენ ჯამებით ბოზბაშს. ყმაწვილი კაცები არაყით სავსე ბოთლებით თავს დაადგებიან ხნიერ და ხანში შესულ კაცებსა. აწვდიან არაყსა სათითოეზედ ცოტა მოდიდო ჭიქით. ყველანი პურის ჭამას შეუდგებიან. მზარეული ბოზბაშს შემდეგ ჩამოურიგებს მხრალად მოხარშულ ხორცსა, ფლავს და მით დაასრულებს თავის მოვალეობას. ახლა ისიც ხალხში ჩაჯდება და პურის ჭამას შეუდგება. რაც რომ ქვაბებში დარჩება, იმას ქვაბებიანათ თავსმდგომნი წაიღებენ ქალებში და მათ ჩამოურიგებენ, გასჭდებათ იმათ თუ არა, ამაზედ თავს არავინ გაიცხელებს... ისიც ეყოფათ, რომ კაცები სჭამენ და მათ სუნი მისდით საჭმლისა. ცოტა ხნის შემდეგ, მეფის ახლო მონათესავენი შეკრებილ ხალხს ხონჩებით ძღვნებს მოართმევენ. თვითო ხონჩაზედ არის: ხუთი და მეტი ნაზუქი, ერთი ცივად მოხარშული ქათამი, მომწვარი ერბო-კვერცხი და შინაური ჭადი. ყველა ძღვენს ცალკე იხსენიებს თამადა და წინ იდგებს; თან გაფაციცებით თვალყურს ადევნებს, რომ არავინ არა აცალოს-რა ხონჩებიდან. როცა ძღვნების დასხელება შესწყდება და აღარავის მოაქვს, თამადა ყველა იქ მყოფ ხალხს გაუნაწილებს ძღვნებსა და თავის საწილოსაც, რასავით ვეღია, თვითონ დაინარჩუნებს... როცა არაყის სმელი ხალხი მეიდ-მეიდ ჭიქა არაყს შეიმთავრებს, მაშინ დანარჩენი ხალხიც პურის ჭამაზედ ხელს აიღებს. მერვე ჭიქით ახსენებს თამადა ღმერთსა და თავს-მდგომნიც სწრაფად სუფრებს აალაგებენ, მხოლოდ თამადის წინ დარჩება ერთი ცარიელი სუფრა. მოიტანენ ორ ცალს წმინდა სანთელსა და ცარიელ თეფშსა. თამადა შუაგულს სუფრაზედ გაშლის ხელსახოცსა, ერთ ცალ წმინდას სანთელს სუფრის თავში მიაკრავს, მოატანინებს ერთ შოთ პურსა, დასდებს თეფშზედა, ერთს სანთელსაც იმას მიაკრავს. ამოარჩევს ხალხში ხმა-მაღალს და ენა-მეტყველ კაცსა, მისცემს ხელში თეფშსა და ეტყვის: აბა, შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც ბლომა ფულს მოაგროვებ სახელმწიფო ხარჯში მისაცემად. ისიც წამოდგება ფეხზედ თეფშით და ანთებული სანთლით დატრიალდება ბზრიალასავით ხალხში. რაებს არა ჭიკჭიკობს და ოხუნჯობს, ენა ვერ იტყვის; ყველასა სცნობს, ვის ახლობელი ხარისხისა მექორწილესი და ვის მოყვარული. პირველად მეჯვარეს მიუთარეობს და წინ დაუჩოქებს. როგორ ამჯობს და აქებს, გასაკვირველს გამოვა კაცი. მეჯვარე, რაც უნდა დატაკი იყოს, ექვს მანეთზედ ნაკლებს არ დასდებს თეფშზედა. ეს ენა-მოქარგული კაცი ყველას შეატყობინებს, მეჯვარემ რაც გაიმეტა და იმ ფულს თამადას მიურბენინებს, ისიც—სიფრთხილეს თავი არა სტკივაო—შეამოწმებს დათვლით ფულსა და ხელსახოცზედ შუაგულ ადგილას დასდებს. მერმე ის კაცი თეფშით მიუთარეობს ოჯახის სიძეებსა, ისინიც ხუთ-ხუთ მანეთზედ ნაკლებს აღარ ჩავლენ, მერმედ—ბიძაშვილებსა, დეიდაშვილებსა, მამიდაშვილებსა და მოყვრებსა. ესენიც სამს მანეთზედ ნაკლებს აღარ ჩავლენ სათითაოდ; ახლა მიუთარეობს ნათლიებსა, მეზობლებსა და დანარჩენ მყოფ ხალხსა; სამი მანეთი ჩამოინაცვლებს ორ მანეთზედ, ორი მანეთი ერთს მანეთზედ, ერთი მანეთი ათ შაურზედ და სხ... ფულის მომგროვებელი სათითაოდ მოცემულს ვისგანმე ფულსა იმწამსვე მიურბენინებს თამადასა.

როცა ჩამოთავდება ფულის მოგროვება, ყველას თვალწინ დასთვლის თამადა მოგროვილს და ყველას გასაგონად დაიძახებს: ღმერთმა სასიკეთოდ გადაახდევინოს ჩვენს მასპინძელსა, შეკრებილს ხალხს მოურთმევია ამისთვინა ამდენ-ამდენი თუმანი და მანეთი, ააშენოს ღმერთმა ჩვენი რეხელები და ყველა ქორწილში დასწრებულნი! ხალხიც ერთ ხმივ შესძახებს: ააშენოს ღმერთმა, სასიკეთოდ გადაახდევინოს ჩვენს მასპინძელსა! თამადა შეკრავს ხელსახოცში მოგროვილ ფულსა და გადასცემს მასპინძელსა. რაც უნდა დარიბი ოჯახი იყოს, რვა თუმანზედ ნაკლებ არ შემოუვა.

ფულის ჩაბარების შემდეგ ხალხი წამოიშლება ქალიან კაცამდისინ ყველანი წავლენ თავთავიანთს სახლებში. მექორწილენიც მიალაგ-მოალაგებენ სახლდახელდოდ ჯამ-ჭურჭელსა... მეფის მაყრებიც წავლენ თავიანთ სახლებში, მხოლოდ მეჯვარე დარჩება თავ-გვირგვინიან მეფესთანა; ესენი ერთად დაწვებიან და პატარძალიც, თავ-გვირგვინიანი მეჯვარეს მხარესა წვება. ამათსავით სხვებიც, ოჯახში მყოფნი, დაქანცულები ძილს მისცემენ თავსა. როცა გათენდება, ყმაწვილ კაცები და ქალები შეიყრიან თავსა, გვირგვინიან მეფე-პატარძალს ჩააბამენ ფერხულში. შუადღემდის ეგრე ცარიელზედ დროს ატარებენ, შუადღისას გვირგვინებს ახდიან. ყმაწვილ-კაცობა და ქალობა თავთავიანთს სახლებში უჭმელ-უსმელნი წავლენ. მეჯვარესაც ზერნით თავს სახლში მიაცილებენ ოჯახში მყოფი კაცები და ამით ბოლოვდება ქორწილი გაჟისა......

(შემდეგი იქნება)

## ჩვენებური ამბები

—

**ქ. ფოთი.** ფოთში ყველა მცხოვრები ამასა ჩივის, რომ ფოთში კარგი ჰავა არ არისო, ზაფხულობით ციება იცისო. მართლაც ეგრეა. განსაკუთრებით მდაბიო ხელმოკლე ხალხი მეტად იტანჯება ციებ-ცხელებით, გარნა ეს მარტო ჰავის ბრალი არ არის. რომ დააკვირდეთ ჩვენს ბაზარს, ჰნახავთ ძველ დამპალ კიტრს, დამპალ მხალსა, ვაშლს, ატამს და ყველანაირ უვარგისს ხილსა. რასაკვირველია, ეს ხილი იყიდება, რადგანაც იაფია. ზოგიერთი კარგსა და ავს როდი არჩევს, ოღონც იაფი იყოს. რასაკვირველია, ამისთანა ხილის მჭამლებს ციებ-ცხელება გაუჩნდება.

საყასპოებში უსუფთაობაა. ოთხის-ხუთის დღის ხორცი უკიდიათ. იქვე უწყვიათ ტყავები, რომლებისაგანაც საზარელი სუნი ვრცელდება.

საჭიროა მიექცეს ყურადღება ქალაქის ყანთარზე იჯარადრისაგან დაყენებულ კაცებს, რომლებიც ურიგოდ ეპყრობიან სოფლებიდან ჩამოსულ ხალხს და ბაჟსაც მეტს ახდევინებენ.

—

**მოლითის სადგურის** მახლობლად, ერთს ფართლით მოვაჭრე ს. ვ. ქედლიშვილს, 29 ივნისს, ღამის 11 საათზე ათი შეიარაღებული კაცი დაეცა. რკინის კარებს ტეხა დაუწყეს და ასტეხეს თოფის სროლა. ამ დროს მეზობლები მოგროვდნენ, მაგრამ ახლოს ვერ მიეკარნენ. მოლითის სადგურის უმფროსმა მაშინვე ბელაგორის ბოქაულს დეპეშით აცნობა და მატარებელი შეაჩერა. რაც მატარებელზედ ბრიგადა იყო—კონდუქტორები, მაშინისტები და სხვანი—შეაგროვა ერთად და დაუწყეს შორიდგან ყვირილი, აგერ პრისტავი და სტრაჟნიკები მოდიან, ყველას დაგხოცავთო, მაგრამ იმათ თავისი არ დაიშალეს და პასუხად იქიდგან თოფები დაუშინეს. ყაჩაღებმა სამი-ოთხის საათის წვალების შემდეგ კარები გასტეხეს, შევიდნენ შიგ და დახლიდარს დაუწყეს ძებნა, მაგრამ ვერ იპოვნეს, რადგანაც სარდაფში დამალულიყო. ბოლოს მაინც მიაგნეს და 1200 მანეთი წაართვეს. სხვა ნივთებიც წაიღეს, რაც-კი მოეწონათ და არხეინად გაუდგნენ გზას. 15 წამის შემდეგ მობრძანდა ბელაგორის ბოქაული სტრაჟნიკებით, მაგრამ ყაჩაღები აღარ დახვდა. ბოქაული რომ გამოსდგომოდა, მაშინვე ყველას დაიჭერდა ერთის ვერსის მანძილზედ, რადგან ყაჩაღები მთისაკენ გაემგზავრნენ და გათენებამაც მალე უსწრო. ამბობენ, ორიოდე აქაური მცხოვრებლებიც ურევიან ყაჩაღების ბრბოშიო. მაგრამ თქმას ვინ გაბედავს...

## კავკასია

სახელმწიფო შემნახველ-გამსესხებელი კასების სამმართველომ ნება დართო დაარსდეს შემნახველ-გამსესხებელი კასსები ამიერ კავკასიის რინის გზის სადგურებზედ—აგინსა და ქსანკაში.

—

გასულ 17 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, ეტაპით ჰგზავნიდნენ ყაგიზმანიდგან ყარსში 154 დერბენტის პოლკის გასამართლებულ ჯარის-კაცს სიმონ როჟანსკის, რომელსაც მზემ დაჰკრა და გზაში უეცრად გარდაიცვალა.

## რუსეთი

საიმპერატორო-სამხედრო-სამკურნალო აკადემიის კონფერენციამ საბოლოოდ გამოაცხადა, რომ სასურველი არ არის, სემინარიებში კურს-დამთავრებულნი აკადემიაში მიღებულ იქმნან სტუდენტებათაო.

— როგორც „ვოლინ“-ი იუწყება, შემოღებულ იქმნა საერობო რეფორმები რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ შემდეგს სამს გუბერნიაში: კიევისა, პოდოლისა და ვოლინისაში.

— სარატოვის გარნიზონის რამდენსამე მდაბიო ჯარის-კაცს ჰბრალდებათ ამა წლის 7 და 8 აპრილს მომხდარ არეულობაში მონაწილეობის მიღება. ამის გამო დამნაშავე ჯარის-კაცები პოლკის სასამართლოში მისცეს. ამ დღეებში პოლკის სასამართლომ განიხილა მათი საქმე და დაადგინა: რადგანაც ამნაირი მძიმე საქმე პოლკის სასამართლოს არ ექვემდებარება, გადაეცეს დამნაშავე ჯარის-კაცთა საქმე ყაზანის სამხედრო-საოლქო სასამართლოს განსახილველადაო.

— გამოცხადებულ იქმნა ხარკოვისათვის სავალდებულო დადგენილება და გაძლიერებულის დაცვის წესები, რომელიც იქაურ ოფიციალურ გაზეთ „ხარკოვის საგუბერნიო უწყებაშია“ დაბეჭდილი.

— საგზაო ინჟინერთა ინსტიტუტში შეიტანეს 1,000-ზე მეტი თხოვნა სტუდენტად მიღებისა, ხოლო ვაკანსია-კი მხოლოდ 100-მდეა.

— გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი, გენერალი ნ. ა, მახოტინი.

— გზათა სამინისტრო სცდილობს რკინის გზების მდაბიო მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესობას და მათთვის საცხოვრებელ სადგომების აშენებას. გადაწყვეტილია მოწვეულ იქმნას სახაზინო და კერძორკინის გზათა უფროსთა და გამგეთა საერთო კრება,

## ფელეტონი

### ნახული და გაგონილი

IV

ბატონ-ყმობა რომ გადავარდა, ერთმა ახალმა გარემოებამ იჩინა თავი ჩვენში. კავკასიონის მთა შეკრულ შეზოპილი იყო ბატონ-ყმობის ჯაჭვით და მის ღელესა და ხეობათა შეხიზნული ოსობა—მოკლებული თავისუფალ მოძრაობას. ჯაჭვი დაიმსხვრა და მთის მკვიდრიც გაიშალა, მოედო ქართლის ფართო ველ-მინდვრებსა. მამულის პატრონთ პირველად კიდევაც უხაროდათ „ოვსთა“ შემოსვლა *). რაც-კი რომ უვარგისი ბუჩქნარი მოეპოვებოდათ, ან ტყე, რომელსაც მაშინ შემოსავალი არა ჰქონდა, ოსობას გაუბოძეს დიდის ხალისით. როცა სტუმარმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი და ზურგი მოიმაგრა, „ახირებული პრეტენზიები“ გამოიჩინა. მამულის პატრონის ნება-სურვილს აგრე ადვილად აღარ ემორჩილებოდა. როცა მასპინძელი სტუმარს ეუბნებოდა,—გეყო, ძმაო, ამდენი სტუმრობა, მომწყდი თავიდგან, ჩემი მამული ჩემთვის მინდაო,—გულ-ნატკენი სტუმარი მთავრობასთან გაიქცა.

მთავრობის კაცთა შორის მხურვალე თეორეტიული მფარველები აღმოუჩნდნენ „დაჩაგრულთ“. მოიგონეთ აწ განსვენებულნი მ. ნ. კუჩაევი და ი. ს. ხატისოვი. უკანასკნელი დიდის მჭევრ-მეტყველებით ამტკიცებდა, რომ მთის ველურ მიუვალ ადგილებში კულტურა ხიზნობამ შეიტანაო და ამის გამო დიდი უსამართლობა იქნება, თუ ჩამოვართმევთ ცხარე ოფლით მორწყულ მამულ-დედულსაო.

„Обращеніе лѣсныхъ зарослей и другихъ дикихъ мѣстъ въ трудно-доступныхъ горахъ въ культурныя пространства, могло совершиться путемъ колонизаци означенныхъ мѣстностей свободными и привычными къ горной природѣ переселенцами“.

— ასე ბჭობს ბ-ნი ხატისოვი. ახლოვად ტყის გაჩეხა-გადაბუგვა, ახოების გამოღება, გარუჯულ კუნძებ შუა თოხით ჩიჩქნა და სიმინდისა, ან ახალ-თესლის ქერის თესვა, თუ კულტურაა, მაშ უკულტურობა რაღაა? პირველად გვესმის, რომ „подсѣчная система“ კულტურის ნიშანწყალია...

კაცმა რომ სიმართლე სთქვას, არც გასამტყუნარნი იყვნენ ხატისოვი და კუჩაევი, როცა ქართლის მამულ-დედულს გულ-უხვობით ურიგებდნენ ჯავისა და როკის „კულტურტრეგერებს“. რა ეხარჯებოდათ!

ჯერ იყო და ქართლ-კახეთში ბინა დაიდვეს სომხებმა. ამათ მოჰყვა ბერძნობა და გერმანელობა. რაც რამ დარჩა თავისუფალი ადგილ-მამული, ისიც ხიზნობამ დაიჭირა, ვითარცა კულტურით მოსილმა. „ბეჩავი“ ქართლელი-კი, ჩვეულებრივ, გარიყული დარჩა და, როცა უტყეობა, ან უმამულობა მაგრად წელში მოჰშლუნავს ხოლმე, პირს აღებს ლოქაფი თევზივით.

სიავე, სიმწვავე ხიზნობას გამოაჩნდა ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ. ამ დრომდის სასაცილოდ არ ეყოფოდათ, ხიზნობის სიავეზე რომ ვისმეს ჩამოეგდო ლაპარაკი. სულ რაღაც 300—400 კომლი ხიზანი იყო ქართლში, მაგრამ ხიზანი ნამდვილი, დიდის ხნით დაბინადრებული, ტომით ქართველი და ქართველობაშივე მცხოვრები, მათი მამულით უზრუნველყოფა ქართლს კბილის საჩიჩქნათაც არ ეყოფოდა.

დიდ ჭირად მოევლინა ჩვენს თავად-აზნაურობას „ახალის ფორმაციის“ ხიზნების მოწყობა. „ბატონ-ყმობის მოსპობამ წელში გაგვწყვიტა,—იძახდნენ გულდათუთქული მემამულენი,—ე ხიზნობა რაღა მეორე ჭირად გაგვიჩინეთო? თუ აგრე გებრალებათ უმამულო ოსები, აიღეთ და მიუზომეთ სახაზინო მიწებიო. ჩვენ თვითონ არა გვაბადია-რა და მაგათ რა უნდა მივცეთო“. უქვეშევრდომილესი თხოვნაც გაგზავნეს სატახტო ქალაქს, მაგრამ არა გამოვიდა-რა. ჩვენებური, ქართული წუწუნი არ შეიწყნარეს. აბა, რა სათქმელია წუწუნით ხელმძღვანელობა, როცა „კულტუროსან“ ერის ბედის მოწყობაზე მივარდება საქმე?!

ორმოცის წლის დავი-დარაბა, როგორც იყო, დასრულდა. 3 ივნისს 1891 წ. დამტკიცებული ხიზანთა კანონი ერთხელ კიდევ შეიცვალა და დღეს უკვე მოქმედებს. შეცვლილ-შესწორებული კანონი *) უბრძანებს მომრიგებელ შუაკაცთ, შეადგინონ „პროტოკოლები“ (იგივე ღრამოტები, ანუ დებულების ოქმი, როგორც ძველად თარგმნიდნენ ღრამოტებს), სადაც დაწვრილებით უნდა აღნიშნონ ურთიერთობა მემამულისა და ხიზნისა.

ეს ერთი პირი საქმისა. მეორე, მე რომ მკითხოთ, მეორე უფრო საყურადღებოა და ვერ მივხვედრილვარ, ეს ახალი „ფორმაცია“ ხიზნობისა, ანუ ევოლიუცია როგორ გამოეპარათ ჩვენს კორესპონდენტებს? დალოცვილები ათას რამეს სწერენ გაზეთებს მივარდნილ, გაფხეკილ სოფლებიდან და ვეებერთელა „სპილოებს“ კი ვერ ამჩნევენ. მერე რა ძნელია, თუ სპილომ მძლავრად ეშვები მოიქნია!

ამას წინად მოგახსენეთ, რომ ქართული ენა უზრუნველ-ყოფილია მეთქი მხოლოდ შუა გულ ქართლში, ვითომც აქ საშიშროება არა მოელის-რა ქართულს, რომელიც ასე უღვთოდ იდევნება და იმუსრება განაპირა ადგილებში. უკან მიმაქვს ეს სიტყვა, რადგან შუაგულ ქართლშიც უჩენია თავი ისეთს ძალას, რომელიც ზვავივით გაიზრდება და წაგვლეკავს.

სალაპარაკო ისეთია, რომ სიფრთხილე გვმართებს. ჯერ-ჯერობით იმითი დავკმაყოფილდეთ, რომ აღვნიშნოთ ფაქტი და ღრმად დავუფიქრდეთ.

უკანასკნელს დროს ზოგიერთნი სწავლა-განათლების გავრცელების სარბიელზე იმ გზას დაადგნენ, რომ თუ სადმე სასწავლებელში იკრიბებიან ორის, ან სამის სხვა-და-სხვა ერონების ბავშვები, თუნდაც სუყველანი მშვენივრად ლაპარაკობდნენ ქართულად, სწავლა ასეთს შერეულ სკოლაში სახელმწიფო ენაზე უნდა სწარმოებდესო. საბუთად ამ გვარის განკარგულებისა იმას ასახელებენ, რომ ვითომც სახელმწიფო მოვალე არ არის, თვისის ძალ-ღონით ხელი შეუწყოს ერთ რომელისამე ტომის ენის გავრცელებას. საბუთი სხოლასტურია და საფუძველს მოკლებული, რადგან ჩვენი მეზობლები: ოსნი, სომეხნი და სხვანი ჩვენსავით ლაპარაკობენ ქართულად. ბევრმა მათგანმა დიდი ხანია დაივიწყა სამშობლო ენა. საოცარი არ იქნება, რომ ძალად მაცხოვნესავით მიადგე დირბელ ბალდასარაშვილს (სომეხია), ან სურამელ დავარაშვილს (ისრაელი) და უბძანო,—გინდა თუ არა, ხელი უნდა აიღო ქართულზე, რადგან ეგ ენა შენი სამშობლო ენა არ არის, შენ სომეხი ხარ, ან ისრაელი, ამის გამო სწავლა პირდაპირ სახელმწიფო ენაზე უნდა დაიწყოვო. ასეა თუ ისე, ამ სახიფათო განკარგულებამ თვისი მწარე ნაყოფი გამოიღო ქართლის იმ ნაწილში, სადაც ქართველებთან ერთად ბინადრობენ ოსები. ამ გვარ სოფლებში, შედარებით, ბლომად დაიმართა სკოლები, სადაც მასწავლებლობენ ტირძნისის ორ-კლასიან სასწავლებელში კურს-დამთავრებულნი.

ახლად გამოჩეკილი პედაგოგები სულ ცერებზე დგებიან, ამაყად უჭირავთ თავი და ხმა მაღლა გაიძახიან: გვეყო ამდენი აბუჩად აგდება, ჩვენს ენას აღარ დაგაჩაგვრინებთ, ეხლა ჩვენ დიდი მფარველნი და შემწენი გვყვანანო.

ამ ბედურასებურ „ჭყლიპინს“ და ბავშურ ტიტინს რომ ისმენ, უნებლიედ გაგონდება დაბერებული ლომი, რომელსაც კოღო-ბუზი დასევია და მოგერების თავი კი აღარა აქვს. თათს ვიღა იტყვის, კუდიც ველარ დაუძრავს, რომ ბზუილა, გულ-გამაწვრილებელი კოღო-ბუზნი მოიგეროს. ტიტინი ხომ უაზროა და უაზრო, სამწუხარო აქ ისაა, რომ ვიღაცა ბოროტ სულს ცუდი ალღო-ინსტინქტი გაუღვიძებია გულ-უბრყვილო ახალ-გაზრდობაში და ვინ გაითვალისწინებს, რომელს კლდეზე გადასჩეხავს ცრუ და მავნე აზრით გატაცე-

*) მცირედ თ იმერიც შეეხიზნა სურამის მიდამოებს.

*) ვისაც სურს გაიცნოს ახალი კანონი, იხილოს пол. крест. влад., кн. IV, разд. VI, особ. прил. къ т. IX, изд. 1902 г., стр. 357—360.

რომელმაც უნდა განიხილოს ეს საკითხი.

— გზათა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ იმათ, რომელთაც სურთ რკინის გზებზე ტელეგრაფისტის ადგილი მიიღონ, უნდა ჰქონდეთ განათლების ცენზი, კუთლ შემი-ნიშნებში არა ნაკლებ უანბასკვის რიგის სასწავლებლის კურსისა. ამ შემთხვევაში, თუ ამ ადგილის მიღებას ინტელიგენციამ მოისურვებს, უფრო მეტი ჯამაგირი დაენიშნებათ და თანდათანობით წინ ...

## უცხოეთი

**იტალია.** ფიზიკური ძალ-ღონე 93 წლის პაპისა, რომელიც ასე დიდხანს ებრძვის სიკვდილს და უკანასკნელ დღემდე სრულს გონიერებას ინარჩუნებს, ...

...

ბულს ყოყოჩა მასწავლებელს. სადა ოქმელია ...

ობა ეხმაროს და მეზობელი უნებურად თვის რჯულზე მოექციოს? ვერც ისრაელი და ვერც სომეხი ამას ვერ გვისაყვედურებენ. ოსებს ხომ კრინტიც არ დაეძვრით. როდის იყო, რომ ქართველს დაეჩაგროს ოსური ენა, ძალით ამოეგლიჯოს იგი ოჯახიდგან და თვისი წაეჩხიროს? თუ ოსებმა ისწავლეს ქართული, ისწავლეს ნება-ყოფლობით, ისწავლეს და შეითვისეს იმიტომ, რომ საჭირო იყო მათთვის. ქართლი რომ არ იყოს, ოსეთი შიმშილით ამოწყდება. მწირ და ხრიოკ კავკასიონის ღელე-ხეობებში შეჩხუნკულ ოსობას სული ამოხდებოდა უქართლოდ. უმიწა-წყლობა იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ოსობა მოსხლტა მთას და ქართლის ველ-მინდორს მოედო, სადაც, შედარებით, რიგიანად მოეწყო, უფრო კარგად, ვიდრე თვით ქართლელი გლეხი. ნუ თუ ეს დასავიწყებელია? ნუ თუ საკადრისია დავიწყება მასპინძლის ამაგისა? ნუ თუ ამდენის ხნის ისტორიულ ურთიერთობის შემდეგ ოსეთის გონიერს ინტელიგენციას ეკადრება ზურგი შეაქციოს ძველს მოამაგე მეტროპოლიას და გახდეს „ობიექტად“ სხვა-და-სხვა ექსპერიმენტებისა? ისე არა ავნებს-რა ერსა, როგორც ისტორიული უმადურობა და პირშავობა. ეს კარგად უნდა დაიქდიონ შუბლზე ყორნისისა, ჯავისა და სხვათა ხეობათა მასწავლებელთა.

ეროვნების შენახვა, სამშობლო ენის ქომაგი, მისი განვითარება უპირველესი მოვალეობაა თვითოეულ მამულიშვილისა, მაგრამ ამ პატიოსან ღვაწლს წინ უნდა უძღოდეს სამართლიანობა. რაც ჩვენ ჩვენიანისთვის

...

გვესმის, მაგრამ ქართულის გამორთ დავიწყება სხვის ჩაგონებით, მისი დევნა, მისდამი თითქმის ზიზღი, რაღა უბედურებაა? ქართლს შემოხიზნულს ოსობას არამც თუ ლიტერატურა და მწერლობა არა ჰქონია, ანბანიც-კი საკუთარი არ მოეპოვება. მათ მაგიერობას ქართული სწევდა. აბუჩად აგდება ნაამაგდარის ენისა და ლიტერატურისა სიკეთეს არ მოუტანს „ტირძნისელ“ პედაგოგებს. ჩვენ ეს გვითქვამს, ჩვენ ასე გვიყვილია, და ვფიქრობთ, რომ თვითონვე მალე დარწმუნდებიან, რაოდენი სიმართლე მისგვიძღვის, როცა ამას ვამბობთ.

განცალკევების სურვილმა, ასე ვსთქვათ, სეპარატიზმმა, კარგა ხანია, იჩინა თავი კანტი-კუნტად. მახსოვს, ჯერ ისევ ყმაწვილი ვიყავი, ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში დაიწყო მწერლობა ოსთაგანქა ბ-ნმა ჩოჩიშვილმა. სიამოვნებით იკითხებოდა მისი წერილები, განსაკუთრებით ისტორიულის ელფერისა. ისეთის სიყვარულით იძიებდა ბ-ნი ჩოჩიშვილი ჩვენს წარსულს, რომ ეხლაც სიამოვნებით ვიგონებ იმ კითხვით გამოწვეულ ტკბილს წუთებს, თუმცა წერილების სათაურები უკვე დამვიწყებია და ვეღარ მომიგონია. ბ-ნი ჩოჩიშვილი თურმე შემდეგში მღვდლად წასულა. ეს იყო მიზეზი, თუ სხვა რამ, არ ვიცი, მხოლოდ ანაფორით შემოსვის შემდეგ გულიც იცვალა და განდგომის გზას დაადგა ალარა მოსწონდარა ქართული, პირზე სულ ოსური ეკერა. მძულვარებამ ლიტერატურული ნიჭი და უნარი ჩანთქა და ბ-ნის ჩოჩიშვილისა აღარა წაგვიკითხია-რა ამ ოცის წლის განმავლობაში. სადაა ეხლა ჩოჩიშვი-

...

ბებს ახდენდნენ და უსაზიზღრეს საქმეებს სჩადიოდნენო. ამ გამხრწნელ ყრილობებში მონაწილეობდა 30-დე ქალ-ვაჟი, სხვათა შორის, ერთ ცნობილ ლიცეის მოწაფენიო. ახალგაზრდა პატიმრის ჩვენება ნამდვილი აღმოჩნდა. გამომძიებელმა გამოჰკითხა ამბავი ლიცეის მოწაფეთ და შემდეგი შეიტყო: ბარონ არდულე და გრაფი ვ. ჩვეულებრივ ავტომობილით დასეირნობდნენ ხოლმე ლიცეის მახლობლად გაკვეთილების დასრულებამდე. როცა მოწაფენი გამოვიდოდნენ სასწავლებლიდგან, ბარონი და მისი ამხანაგი შესთავაზებდნენ ხოლმე ავტომობილით გასეირნებას; წაიყვანდნენ სასეირნოდ, გაუმასპინძლდებოდნენ ტკბილეულობითა, შემდეგ თავის ბინაზე მიიყვანდნენ და, თუ მონაწილედ არა, საზიზღარ გარყვნილებისა მაყურებლად მაინცა ჰხდიდნენ. პოლიციამ გასჩხრიკა გრაფ ვ.-ს სადგომი, მაგრამ შინ ვერ მიასწრო, უკვე გაქცეულიყო. სამაგიეროდ, შეიპყრო ბარონ არდულე, რომელსაც უპოვეს მრავალი ბარათი მეტად სათაკილო შინაარსისა. როდესაც პოლიცია გაფაციცებით სჩხრეკდა სადგომს, ბარონს ეწვია სამი ბავშვი, ერთ ცნობილ ინჟენერის შვილები. პოლიციამ იმ წამსვე აცნობა პატრონსა და ბავშები წაიყვანეს. ბარონ არდულე ერთ დიდ-კაცის სასიძოდ ითვლებოდა.

## ნარკვევი

გაზ. „Кіев. Слово“-ში ბ-ნი ი. ტიმოშჩენკო სწერს, რომ რუსეთში ძალიან მცირეა რიცხვი სასწავლებლებისაო. მათის რიცხვის გასამრავლებლად, იმის აზრით, საჭიროა:

ა) გაადვილება სასწავლებლის დაარსებისა, ბ) საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ მონაწილეობის მიღება სკოლის საქმეებში, გ) უარყოფა წვრილმანის რეგლამენტაციისა; ყველა სასწავლებელს უნდა ნება ჰქონდეს ისე მოაწყოს თავისი საქმე, როგორც ამას მოითხოვს ადგილობრივი ვითარება და დ) უარ ყოფა სასკოლო რუტინისა და მეტის ყურადღების მიქცევა საპედაგოგიო მეცნიერებაზედ.

თუ ასე მოვიქცევით, სკოლები გაგვიმრავლდება და ბოლო მოეღება იმ წყეულს სიტყვებს „ვაკანსია აღარ არის“, რომელიც თავზარსა სცემს მშობლებს და მათს შვილებს. რაიცა შეეხება ნივთიერს ღონისძიებას, ოღონდ კი სკოლა რიგიანად მოეწყოს და თანაგრძნობა მოიპოვოს საზოგადოებისა და ღონის ძიებაც საკმაოდ აღმოჩნდება. საკომერციო სასწავლებლების მაგალითი ცხადად ჰმოწმობს ამას.

—

ბ-ნი ფესენკო სწერს „Банк. и Торг. Газ.“-ში დღევანდელ სამრეწველო კრიზისის შესახებ და ამბობს, რომ ამ კრიზისის უმთავრესი მიზეზი არა-სამართლიანი დამოკიდებულებაა მწარმოებელთა და შუა-კაცებ (დალალ-ჩარჩებ) შორისაო.

მრეწველობის წარმომადგენელნი,—ამბობს ავტორი,—იმ აზრისანი არიან, რომ ვითომ ჩარჩს, ვაჭარს გვჭირდებით ჩვენ, ხოლო ისინი ჩვენთვის საჭირონი არ არიანო. ასეთ აზრს ადგა წინად ვაჭარიც თვის მუშტრის შესახებ: ვაჭარმა-კი არ უნდა სდიოს უკან მუშტარს და ეძებოს იგი ყველგან, არამედ მუშტარმა უნდა ეძებოს ვაჭარიო. ამისთანა აზრებმა თავიანთი დრო მოსჭამეს და ეგ აზრები დღეს მავნებლად არის ცნობილი სავაჭრო საქმის წარმატებისათვის.

ბ-ნი ფესენკო ამტკიცებს: ჩვენის სამრეწველო წარმოების წარმომადგენლები, იმის მაგიერ, რომ სინდიკატებს აარსებდნენ და ისეთს ფასს ადებდნენ საქონელს, როგორიც თვითონ ჰსნებავთ, უნდა შეიკრიბნენ და ყურადღებით განიხილონ, რა ღონის-ძიება უნდა მიიღონ, რომ გამრავლდეს შუა-კაცთა რიცხვი მუშტარსა და მათ შორის. მუშტარი არის, მაგრამ თავის სახლში ჰზის; ვაჭრის საქმეა, მივიდეს იმასთან და შესთავაზოს თავისი საქონელი. აი ეს უბრალო ჭეშმარიტება უნდა შეიგნონ ჩვენმა ფაბრიკებისა და ქარხნების პატრონებმა. როცა ამას შეიგნებენ და შესაფერ მოქმედებასაც მიჰმართავენ, მაშინ განვითარდება და გაძლიერდება ჩვენი სამრეწველო წარმოება.

მართალია, კარგია, როცა მუშტარი და საქონლის პატრონი ერთმანეთს დაუახლოვდება, მაგრამ, არა გვგონია, რომ ვაჭრებისა და შუა-კაცების გამრავლება სიკეთეს რასმე შესძენდეს ხალხს. ისინი ხომ არას აწარმოებენ, არას ჰქმნიან და მხოლოდ ჩარჩობით სცხოვრობენ და ნუ თუ ეს გარემოება არ აძვირებს საქონელს იმდენად, რამდენიც ჩარჩვაჭრების ჯიბეში გადადის?!

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

5 ივლისი.

**სამარა.** პოკროვსკის სლაბოდაში მთლად დაიწვა პურის მოედანი, 180 ბეღელი, 500 სახლი, ბაზრის მოედნის მომეტებული ნაწილი საქონლიანათ, 11 დატვირთული ბირჟა, 2,500,000 ფუთი ხორბალი, 40 ვაგონი და პლატფორმა. 30 კაცი დაიღუპა. ზარალი რვა მილიონია. ქონების მომეტებული ნაწილი დაზღვეული არ ყოფილა.

**როსტოვი დონისა.** საბჭო შუამდგომლობს, რომ ქალაქს 100,000 მანეთი ერთხანად მიეცეს და ყოველ წელს 200,000 მანეთი ეძლეოდეს სახალხო სახლისა, სახალხო თეატრისა და ღამის თავ-შესაფარის ასაგებად ნავთსადგურის მუშებისათვის.

**ბელგრადი.** ავსტრიის ელჩმა მეფეს აუწყა იმპერატორის ფრანც-იოსების მეგობრობა და თანაგრძნობა. ამასთანავე იმედი განაცხადა, რომ ორ სახელმწიფოს შორის მეგობრობა და კეთილი მეზობლური ურთიერთობა განმტკიცდებაო. მეფემ მადლობა გადაუხადა და წარმოსთქვა, რომ იმპერატორისადმი მეგობრობისა და მისწრაფების გრძნობა ახალი არ არის, ეს მემკვიდრეობა მამა-ჩემმა მომანიჭა და ამიტომ ერთი-ორად უფრო ძვირფასია ჩემთვისაო.

**რომი.** ბიულეტენი დილის 9 საათზე. „ღამე პაპმა უძილოდ გაატარა. განთიადიდან დაწყებული პაპს კარგა სძინავს. გრძნობა წინანდელი აქვს და ცვლილება არა ეტყობა-რა. „ოსერვატორე რომანო“ ოფიციალურად იუწყება, რომ გუშინ კარდინალმა რამპოლამ პაპს ზოგიერთი ისეთი რწმუნება მოსთხოვა, რომელიც პაპის განსაკუთრებულ უფლებას შეადგენს; პაპი დასთანხმდა. მერე რამპოლამ მოახსენა პაპს, რომ მთელი ქვეყნიერობა და ბევრი არა-კათოლიკე სარწმუნოებისაც გულმტკივნეულობას გიცხადებენო. პაპმა სიხარულით მოისმინა ეს და კარდინალს ახალი საერთო და საპოლიტიკო ამბები ჰკითხა. რამპოლამ მოკლედ უამბო. პაპმა ყურადღებით მოისმინა მოხსენება.

6 ივლისი.

**საროვი.** 3 ივლისს მიტროპოლიტმა ანტონმა, მღვდელ-მსახურთა მონაწილეობით ამოასვენა საფლავიდან ღირსის სერაფიმეს წმინდა ნაშთი და ზოსიმეს ტაძარში ახლად შემოსა. ღირსის სერაფიმეს ნაშთის შემოწმების შემდეგ, იანვარს აქედ, მის საფლავზედ და მკურნალ წყაროსთან ყოველ დღე სასწაულები ხდება; ბევრს უსინათლოს მხედველობა მიენიჭა.

**მოსკოვი.** კოლლექციათა შემკრებელმა შჩუკინმა რუმიანცევის მუზეუმს შესწირა კოლლექცია უცხოელთა მხატვრობისა, რომელიც ეკუთვნის XVI და XVII საუკუნოებსა.

**რომი.** ექიმებმა სცნეს, რომ პაპი თანდათან მოკვდება. თირკმლები უკედ მუშაობენ. ლაპპონიმ სთქვა, ავადმყოფობა ისე საშიში აღარ არისო.

**იოკოჰამა.** ბრიტანიის წარმომადგენელი შუამდგომლობდა ვიჩჟუს ნავთსადგურის გახსნის შესახებ უცხოელთა ვაჭრობისათვის. ჰფიქრობენ, რომ კორეის მთავრობა თანაგრძნობით მოეკიდება ამ შუამდგომლობას.

**კონსტანტინეპოლი.** როგორც პორტა იუწყება, ბოლგარიის რაზმმა ტიკვეშის ოლქში ორი ბოლგარელი მოჰკლა და სამი სახლი დასწვა. საძს ვილაიეტში დაიწყეს დაპატიმრებულ ბოლგარელთ განთავისუფლება. 20-მდე სახელოვანა კაცი, რომელნიც უნდა გადაესახლებინათ, თავმდებობითა და ფიცის ქვეშ გაანთავისუფლეს.

**მინსკი.** შუამდგომლობენ, რომ რუსეთში პირველი დედათა სამასწავლებლო სემინარია დაარსდეს.

**რომი.** ბიულეტენი საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე: დღეს პაპს ცოტად ეძინა. მაჯა 82, ტემპერატურა 36,8; საერთო მდგომარეობა ცოტად შეირყა.

7 ივლისი

**ვიატკა.** ვიატკის მოსწავლეთა და მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარემ ქ-ნმა ბულიჩევისამ შესწირა ამ საზოგადოებას 10,000 მანეთი სამასწავლებლო შენობის ასაგებად.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ნიჟეგოროდისა, ბალახინისა, გორბატოვისა და სემიონოვის მაზრებში შემოღებულ იქმნა გაძლიერებული დაცვის წესები 17 ივლისიდან 10 სექტემბრამდე.

**რომი.** პაპს მთელი ღამე არა სძინებია. დილის 10 საათზე დიდი პენიტენციარი საჩქაროდ გამოწვეულ იქმნა ვატიკანს, სადაც თანდათან იკრიბებიან ყველა კარდინალები.

ლი, რას აკეთებს, ან რა გზას ადგია, არაფერი ვიცით. ეს-კი ცხადია, რომ მის მძულვარებას დღეს ნიადაგი უპოვნია პედაგოგთა წრეში, რადგან გარედანაც ხელს უწყობენ.

ასეთია სულიერი ვითარება ინტელიგენციისა ჩვენებურს, სამხრეთს ოსეთში. უკეთესად არ მოეწყო საქმე ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც ნამდვილ ინტელიგენტთა წრე გაცილებით ფართოც არის და თვისებითაც მძლავრია. ჯერ ისევ რუსეთში გავიცანი უმაღლეს სწავლა-მიღებულნი ოსნი: ბაევი, დათიევი. უკანასკნელი ხელობით ინჟენერი იყო, სულ რაღაც ოციოდე ქართული სიტყვა იცოდა და ჩემთან საუბრის დროს სწორედ ამ ოცის სიტყვით მიდიოდა იოლად, ვიდრე ძალიან არ გაუჭირდებოდა. სიამოვნებით ლაპარაკობდა ქართველებზე, მის წარსულზე და ბრწყინვალე მომავალზედ, უკეთუ ვიმუშავებთ და ერთ-ურთ შორის მძულვარებას არ მივსცემთ ბინასო.

ეხლანდელებს დავიწყებიათ ფრერ დათიევის რწმენა. ავიღოთ თუნდ ბ-ნი ცაგოლოვი. ეს განათლებული ოსი ჩრდილო კავკასიის რუსულ გაზეთებში მწერლობს, ხანდისხან ტფილისის რუსულ გაზეთებშიაც გამოჩნდება ხოლმე და სწორედ უცნაურის კილოთი იხსენიებს ქართველობას, თითქოს ჩვენ რაღაც მომაკვდინებელი ცოდვა ჩაგვედინოს და ოსობისთვის გულღვიძლი ამოგვეგლიჯოს.

გეცოდინებათ, რა ფრიად საყურადღებო წიგნი დაბეჭდა მათმა მეუფებამ, ეპისკოპოზმა კირიონმა 1901 წ. („Краткій очеркъ исторіи грузинской церкви и экзархата за XIX столѣтіе“). წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ მიიღო ქართულმა თვით მომქმედმა ეკლესიამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დღევანდელი სახე. აღნიშნულია აგრეთვე ისტორიული ღვაწლი საქართველოს სამღვდელოებისა სამისიონერო სარბიელზე. დასახელებულია იოსებ სამებელი, იოანნე მანგლელი, არქიმანდრიტი ნიკოლოოზ, პახომი, არქიეპისკოპოზი დოსითეოზი, შესანიშნავი გაიოზი; დეკანოზები: ნიკოლოზ სამარგანოვი, იოსებ ელიოზის ძე, პეტრე ავალიანი, ბესარიონ ილურიძე, ვასილი ცერაძე, ათანასე მაქსვარიანი, გიორგი ამირის ძე, ზაქარია მამაცაშვილი, იაკობ ლომაური, ალექსანდრე ფედოროვი; მღვდელნი: გაბრიელ საძაგლიშვილი და იაკობ ზამთარაული, რომელნიც მოღვაწეობდნენ ოსეთში მათ მოსაქრისტიანებლად. მოხსენებულია აგრედვე აკადემიაში კურს დამთავრებული იოანნე ჭილაშვილი, როგორც ოსთა მასწავლებელი. დაწვრილებითაა ნაამბობი ღვაწლი ქართველ აზნაურიშვილისა, ივანე იალღუზიძისა. იალღუზიძეს, ჩამომავლობით ოსსა, მშვენივრად შეუსწავლია ქართული ენა და მისი გრამატიკა, უთარგმნია ქართულიდგან ოსურად სამღვთო წერილის წიგნები და დაუბეჭდიათ ზოგი მოსკოვს, ზოგი ტფილისს ხუცურის ასოებით. იალღუზიძის თარგმანები შეუმოწმებია კომისიას, რომლის წევრებად ყოფილან: მიტროპოლიტი იონა, ტიტულიარნი სოვეტნიკი და კავალერი ნიკოლოოზ დავითის ძე ჩუბინოვი, თავადი შალვა ერისთავი და თვით იალღუზიძე. (იხ. დასახელებული ისტორია, გვერდი 87—160).

რა ეწყინა ბ-ნ ცაგოლოვს? საძრახისი ოსთათვის რა სთქვა ავტორმა? არაფერი. მადლობის მეტი რა ეთქმის მაღალ-ხარისხოვან ავტორს, მაგრამ ასე არ მოიქცა ბ-ნი ცაგოლოვი. დაასახელა ერთი თუ ორი ოსის მღვდელი, რომელთაც აგრეთვე უღვაწნიათ ოსთა მოსაქრისტიანებლად და საყვედურით ახრჩობს ეპისკოპოს კირიონს, რატომ ესენი-კი არ მოიხსენიეო, ისტორია მიდგომითაა დაწერილი და მარტო ქართველების განდიდება გსურსო. ახირებული პრეტენზიაა თუ გინდათ, სწორედ ეს არის! ეპისკოპოზი სწერდა ქართულ ეკლესიის ისტორიას და აღნიშნა ღვაწლი ამ ეკკლესიის წევრთა. მორჩა და გათავდა. თუ ოსებს აქრისტიანებდნენ ოსებივე, საქართველოს ეკკლესიის დამოუკიდებლივ, თქვენ თვითონ, ბ-ნო ცაგოლოვო, აღსწერეთ მათი მოქმედება; მიაყენეთ ჯეროვანი შუქი სამშობლო ისტორიას. ამას რა დავი-დარაბა უნდა? ამერიკელმა მისიონერებმა რომ დანათლონ მაჰმადიანი ოსები, ისინიც საქართველოს ეკლესიის ისტორიაში უნდა მოვაქციოთ? კარგია, თქვენმა მზემა.

ბ-ნ ცაგოლოვის დარდი კერძოდ მე ასე შემომესმა. საქმე ის კი არ არის, რომ ისტორიის ავტორმა არ მოიხსენია ორიოდე მისიონერი ოსი; საქმე ისაა, რომ ბ-ნ ცაგოლოვს სწყინს ქართველ კაცის უნარი. ჩვენ რა მაგათზე ნაკლებნი ვართო, რომ მაგათ გაგვანათლონო. აი, ამერიკელმა, ან გერმანელმა რომ გაანათლოს, მაშინ აღარ იწყენს, თორემ ვიღაც ქართველი! კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას-კი ბუზებს უგერებდაო.

რუსულმა ჟურნალ-გაზეთობამ ზოგჯერ იცის ხოლმე ასეთი ოხუნჯობა: დღეს ელეცის (ქალაქია) ეპოქა დადგაო. ჩვენც, მისის მიხედვით, ვსთქვათ: „ოვსთა“ ხანა დგება ქართლში. „მეგრელების“ ხანა არ დამთავრებულა და უკვე ზედ მიაყოლეს ოსებისა. სწორედ საიმედო ნიშნებია!

ა. ფრონელი

ყველანი იმ აზრს ადგანან, რომ პაპის ეხლანდელი მდგომარეობა მეტად საშიშია. პაპი სულთ ებრძვის.

**ვენა.** იმპერატორმა მიანდო გრაფს გოლუხოვსკის დროებით საიმპერიო ფინანსთა სამინისტროს მართვა და ბოსნიისა და ჰერცოგოვინის საქმეთა გამგეობა.

**მადრიდი.** მინისტრ-პრეზიდენტმა სილველამ სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა,— საფრანგეთი და ესპანია ერთად სცდილობენ status quo'ს დაცვას მაროკკოში. ორატორმა სთქვა,—დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ესპანიის საზღვაო და ხმელეთის მხედრობის გაძლიერებასაო. სილველამ ამასთანავე ის სურვილი გამოსთქვა, რომ სამუდამოდ განმტკიცებულ იქმნას ამ ორ მონათესავე ხალხთა შორის მეგობრული განწყობილებაო. გაზეთი „Imporcial“-ი განიხილავს ამ სიტყვას და ამბობს, რომ ეს სიტყვა უნდა აიღსნას როგორც უკვე არსებულ საფრანგეთ-ესპანიის ურთიერთობის გამოცხადებადაო. მინისტრთა საბჭომ მოისმინა საზღვაო სამინისტროს მოთხოვნილება, რის შემდეგაც სილველამ მეფეს გადასცა მთელის თვისი კაბინეტით სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი. მეფემ მოიხმო ვილლავერდე.

**ბერლინი.** როგორც „კელნ. ზეიტ.“-ი იუწყება, ნენადოვიჩი პეტერბურგს გაემგზავრება, რათა ხელმწიფე-იმპერატორს ხელით-ხელს გადასცეს პეტრე მეფის საკუთარ ხელით მიწერილი ბარათი, რომელშიაც მადლობას უთვლის მის შვილებზედ მოღებულ მოწყალებისათვის.

**სტამბოლი.** როგორც ამბობენ, პორტა იუწყება,—არც ჯერ მომიყრია თავი და არც განმიზრახავს შევჰყარო არა-ჩვეულებრივი რიცხვი მხედრობისა და ბულგარიის საზღვრებზედ, მაგრამ სანამ ჯუფთთა უწესოებას ბოლო არ მოეღებია, საზღვრების მტკიცედ დაცვა აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნიაო.

**რომი.** ბიულეტენი საღამოს 6 საათზედ: „პაპა მთელი დღე თითქმის ძილად იყო მივარდნილი. ძალ-ღონე უფრო შეუსუსტდა. სუნთქვა 30, მაჯა—96, ტემპერატურა—36,4“.

### პეტერბურგის ბირჟა, 4 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,75 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,40 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | — |
| პარიჟის დისკონტი | 5 $6^1/_4$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $98^3/_4$ მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | $100^3/_4$ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის | $95^1/_8$ მყიდ (?) |
| 5% შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | $443^3/_4$ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $339^1/_2$ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 290 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 403 წვ გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | — |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს;** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა და ერევანს:** 1) საფოსტო № $74/_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 28 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

**შორაპნისაკენ:** დღის 3 ს. 8 წ.

## განცხადება

### ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა ბანკის წესდების 20 § ძალით, იმ განცხადების თანახმად, რომელიც დაბეჭდილი იყო 24 მაის გაზეთ „კავკაზში“ № 132, მოხდება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 1903 წ. 12 ივლის, შუადღის 12 საათზე, შიგ სადგურში (ფრეილნის ქუჩა თავად-აზნაურთა სახლში), ქვემო დასახელებულ, ამ ბანკში დაგირავებულ უძრავ ქონებათა, რომლებიც დანიშნული იყო გასაყიდად ნახევარ წლის გარდასახადის დროზე შემოუტანლობის გამო და აგრეთვე 1903 წლის პირველ ნახევარ სავალდებულო ხარჯთა შემოუტანლობის გამო, რომელიც დაედოთ 21, 23, 25 და 27 ივნისს მომხდარ ვაჭრობით, რადგან მამულები გაუყიდავი დარჩა მყიდველთა კანონიერი რიცხვის დაუსწრობლობით: ეს მამულები მდებარეობს შემდეგ ადგილებში,

#### ქ. ტფილისს

ვოლკოვისა ნატალია სვიმონის ასული: შენობანი და მიწა, ზომით დამფასებელთა აწერილობით 135 ოთხ.-კ. საჟ. და საბუთის ქაღალდებით 100 ოთხ.-კ. საჟ. მე-10 ნაწილში, დიდუბეში, ჩრდილოეთის ვიწრო ქუჩაზედ.

თავნი ვალი 15785 მ. 62 კ. შეს. გარდ. 603 მ. 03 კ. სულ 16,388 მ. 65 კ.

გასპაროვი არტემ ხითარას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 136,75 ოთხ.-კ. საჟ. მე-7 ნაწილში ალექსანდროპოლისა და კარაკლსის ქუჩებზე.

თავნი ვალი 8,611 მ. 91 კ. შეს. გარდ. 324 მ. 21 კ. სულ 8,936 მ. 12 კ.

გედევანოვი ილია მერაბის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 240 ოთხ.-კ საჟ. მე-10 ნაწილში დაგეგმილ ქუჩაზე.

თავნი ვალი 24080 მ. 34 კ. შეს. გარდ. 1024 მ. 92 კ. სულ 25105 მ. 26 კ.

ჯავახოვისა სოფიო ალექსანდრეს ასული: შენობანი და მიწა, ზომით 928 ოთხ.-კ. საჟ. 1 ნაწილში უდელნისა და სვიმონოვის ქუჩების კუთხე.

თავნი ვალი 17723 მ. 19 კ. შეს. გარდ. 575 მ. 96 კ. სულ 18430 მ. 15 კ.

ჯალალოვი გეურქა გრიგოლის ძე; შენობანი და მიწა, ზომით 115 ოთხ.-კ. საჟ. მე-4 ნაწ. ორლოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 16246 მ. 26 კ. შეს. გარდ. 605 მ. 87 კ. სულ 16852 მ. 13 კ.

მელვანოვი სერგეი სტეფანეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 700 ოთხ.-კ. საჟ. მე-10 ნაწ. ელისაბედის მეორე მალაკნის და ნიკოლოზის ქუჩა.

თავნი ვალი 135669 მ. 26 კ. შეს. გარდ. 4791 მ. 58 კ. სულ 140460 მ. 84 კ.

მირზაიანცი გეურქ კარაპეტას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 37 ოთ.-კ. საჟ. მე-7 ნაწ. ფერის ცვალების ქუჩა.

თავნი ვალი 5287 მ. 88 კ. შეს. გარდ. 204 მ. 99 კ. სულ 5492 მ. 87 კ.

ფავლენოვი ილია ივანეს ძე: შენობანი და და მიწა, ზომით 140 ოთხ.-კ. საჟ. მე-10 ნაწილში ელისაბედის ქუჩის გაგრძელება.

თავნი ვალი 24537 მ. 70 კ. შეს. გარდ. 920 მ. 07 კ. სულ 25457 მ. 77 კ.

ფავლენოვი ილია ივანეს ძე: შენობანი და მიწა, ზომით 202 ოთხ.-კ. საჟ მე-10 ნაწ. გოგოლის ქუჩაზე.

თავნი ვალი 42338 მ. 74 კ. შეს. გარდ. 1562 მ. 82 კ. სულ 43901 მ. 56.

რემეზოვი ვასილ სტეფანეს ძე: შენობანი და მიწა ზომით საბუთის ქაღალდებით 175 ოთხ.-კ. საჟ. დამფასებელთა ქაღალდით-კი 301 ოთხ.-კ. საჟ. მე 8 ნაწ. დესიმონოვის მოედანზე.

თავნი ვალი 34447 მ. 65 კ. შეს. გარდ. 1369 მ. 85 კ. სულ 35817 მ. 50 კ.

ტატოსოვი იაკოკ ივანეს ძე: შენობანი და მიწა ზომით 55 ¾ ნახევარი ოთხ.-კ. საჟ. მე-7 ნაწილში ლაზარევისა და გონჩაროვის ქუჩის კუთხე.

თავნი ვალი 4840 მ. 30 კ. შეს. გარდ. 191 მ. 58 კ. სულ 5031 მ. 88 კ.

ხოჯამიროვი გიორგი გასპარას ძე: შენობანი და მიწა ზომით 139,4 ოთხ.-კ. მე-10 ნაწ. პატარა ქუჩა, რომელიც ანდრეევის ქუჩაზე გადის.

თავნი ვალი 25994 მ. 02 კ. შეს. გარ. 1031 მ. 51 კ. სულ 27025 მ. 53 კ.

ხოჯამიროვი გიორგი გასპარას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 214,33 ოთხ. კ. საჟ. მე-10 ნაწ. პატარა ქუჩა რომელიც ანდრეევის ქუჩაზე გამოდის.

თავნი ვალი 40386 მ. 90 კ. შეს. გარდ. 1483 მ. 39 კ. სულ 41870 მ. 29 კ.

ხოლზოვი კონსტანტინე ანდრიას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 335,6 ოთხ.-კ. საჟ. მე-7 ნწილში მთავარ-ანგელოზისა და მახათას ქუჩების კუთხე.

თავნი ვალი 55564 მ 20 კ. შეს. გარდ. 2186 მ. 55 კ. სულ 57750 მ. 75 კ.

ცაპინი დავით ივანეს ძე: შენობანი და მიწა, შომით $129^1/_2$ ოთხ.-კ. საჟ. მე-8 ნაწილში გონჩარნის ქუჩაზე.

თავნი ვალი 23101 მ. 13 კ. შეს. გარდ. 869 მ. 61 კ. სულ 23970 მ. 74 კ.

#### ქ. განჯა (ელისავეტპოლი).

ფატახოვები. ისმაილ და მაჰმედ-რზა: შენობანი და მიწა, ზომით 235,6 ოთხ-კ. საჟ. დორტ-ელის ქუჩაზე.

თავნი ვალი 10224 მ. 04 კ., შეს გარდ 465 მ. 98 კ. სულ 10690 მ. 02 კ.

#### ქ. ერევანი.

ბაგრამოვი ხეჩატურ არუთინას ძე: შენობანი და მიწა დამფასებელთა ქაღალდით $29^1/_5$ ოთხ-კ. საჟ. ტაბაზშინის უბანში.

თავნი ვალი 421 მ. 29 კ. შეს. გარდ. 35 მ. 75 კ. სულ 457 მ. 04 კ.

#### ქ. ბაქო.

თუმაევისა ჯევაგირა დანიელის ასული: შენობანი და მიწა ზომით 140 ოთხ.-კუთ. საჟ. მე-3 ნაწილში ეკლესიისა და სომხის ქუჩების კუთხე.

თავნი ვალი 40896 მ. 17 კ. შეს. გარდ. 1762 მ. 36 კ. სულ 42658 მ. 53 კ.

#### ქ. შემახა.

ოსმანცევი ბალასია არაქელას ძე: შენობანი და მიწა, ზომით 88,30 ოთხ.-კ. საჟ.

თავნი ვალი 2937 მ. 72 კ. შეს. გარდ. 353 მ. 29 კ. სულ 3291 მ. 01 კ.

#### ტფილისის გუბერნია.

ტფილისის მაზრის.

თარხნიშვილი-მოურავიშვილი ნიკოლოოზ გიორგის ძე: სხვა-და-სხვა ადგილები მიწა ზომით 233 დეს. 956 ოთხ.-კ, საჟ. ს. ლისში.

თავნი ვალი 14901 მ. 44 კ. შეს. გარდ. 792 მ. 46 კ. სულ 15693 მ. 90 კ.

#### დუშეთის მაზრისა.

ყიფიანისა ნინო იაგორის ასული: სხვა-და სხვა ადგილები, მიწა ზომით 463 დეს. 1690 ოთხ.-კ. საჟ. სოფ: ამილახვრიანთ-კარში, იცრიასა და ქერანაში.

თავნი ვალი 9920 მ. 16 კ. შეს. გარდ. 368 მ. 26 კ. სულ 10288 მ. 42 კ.

#### თელავის მაზრისა.

ჯანდიერი ანასტასია ბესარიონის ასული: ვენახი ზომით დაახლოვებით 2 დეს. 570 ოთხ.-კ. საჟ. სოფ. ვაჩნაძიანში.

თავნი ვალი 400 მ. შეს. გარდ. 27 მ. 12 კ. სულ 427 მ. 12 კ.

აფხაზისა თინათინა ივანეს ასული: ხეხილიანი ვენახი და სამოსახლო ადგილი ზომით 4 დეს. 527 ოთხ.-კ. საჟ. სოფ. ძველში გავაზში.

თავნი ვალი 1200 მ. შეს. გარდ. 42 მ. 10 კ. სულ 1242 მ. 10 კ.

ჩერქეზიშვილისა დარია ალექსანდრეს ასული, აბაშიძისა თამარ ალექსანდრეს ასული და ვახვახიშვილისა ეკატერინე ალექსანდრეს ასული: სხვა-და სხვა ადგილები მიწა ზომით 7 დეს. 390 ოთხ.-კ. საჟ. კურდღელაურში.

თავნი ვალი 400 მ. შეს. გარდ, 20 მ. 70 კ. სულ 420 მ. 70 კ.

#### სიღნაღის მაზრისა.

ანდრონიკოვები ზაქარია, ნიკოლოოზ და ალექსანდრე გიორგის ძენი: სხვა-და-სხვა ადგილები მიწა ზომით 213 დეს. 2003 ოთხ.-კ. საჟ. ალაზნის გაღმა მიწების მამულში.

თავნი ვალი 2338 მ. 06 კ. შეს. გარდ. 98 მ. 31 კ. სულ 3036 მ. 37 კ.

ჩერქეზიშვილისა ბარბარე დავითის ასული: ვენახი, ზომით 2 დეს. 528 ოთხ.-კ. საჟ. სოფ. ჩაილურის მამულში.

თავნი ვალი 200 მ. შეს. გარდ. 15 მ. 35 კ. სულ 215 მ. 35 კ.

#### გორის მაზრისა.

აბაზაძენი დავით და იოსებ ივანეს ძენი: სხვა-და-სხვა ადგილი ზომით, მიწა 447 დეს. 520 ოთხ.-კ. საჟ. სოფ. ცედანში.

თავნი ვალი 7471 მ. 19 კ. შეს. გარდ. 285 მ. 65 კ. სულ 7756 მ. 84 კ.

ვეზიროვი კონსტანტინე გრიგოლის ძე (იგივე გიორგის ძე): სათიბი მიწა, ზომით 8 დეს. 1180 ოთხ.-კ. საჟ. სოფ. ოსიაურში.

თავნი ვალი 694 მ. 42 კ. შეს. გარდ. 32 მ. 47 კ. სულ 726 მ. 89 კ.

ვეზიროვები ივანე და კონსტანტინე გიორგის ძენი: სხვა-და-სხვა ადგილი, მიწა ზომით 215 დეს. 921 ოთხ.-კ. საჟ. სოფ. ოსიაურთან.

თავნი ვალი 6762 მ. 14 კ. შეს. გარდ. 216 მ. 01 კ. სულ 6978 მ. 15 კ.

თარხან-მოურავიშვილი გიორგი იორამის ძე: სხვა-და-სხვა ადგილები, ზომით მიწა 248 დეს. 1930 ოთხ.-კ. საჟ. სოფ. სათარხნოსა და ახალციხეში.

თავნი ვალი 7958 მ. 47 კ. შეს- გარდ. 539 მ. 85 კ. სულ 8498 მ. 32 კ.

(2—6.—2)

---

### ახალი იაფ-ფასიანი წიგნები.

ჟურნალ „მ ო გ ზ ა უ რ ი ს“ რედაქციაში ისყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. **წერილი სოფლელ მუშას,** ფ. 5 კ.
2. **ყელ-ჭირვება** ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კ.
3. **მეცნიერების დედა-აზრი,** ფ. 5 კ.
4. **ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება,** ფ. 5 კ.
5. **რა არის გონებითი გახსნა-განვითარება,** ფ. 5 კ.
6. **პურის ხოხცანი** ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით, ფ. 7 კ.
7. **ბავშვების გონიერი მოვლა** ანუ რისგან იხოცებიან ბავშვები უდროვოდ, ფ. 5 კ.
8. **დანაშაულობა—დამნაშავენი** და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.
9. **მეურნეობა და ახალი სკოლა,** ფ. 5 კ.
10. **შინაური ფრინველების:** ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კ.
11. **რა არის დოსტაქრობა** (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით, ფ. 5 კ.
12. **„მურია“,** სურათებით, საყმაწვილო მოთხრობა, ფ. 5 კ.
13. **თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა** ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კ.
14. **სულით ავათმყოფი მოსწავლენი,** ფ. 5 კ.
15. **ხეხილის გამრავლება და მოვლა,** სურათებით, ფ. 7 კ.
16. **მეფე ლამზა,** საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კ.
17. **საუნჯე ავათმყოფისა,** ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობისა, ფ. 15 კ.
18. **საუნჯე მეურნისა,** ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება, გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კ.
19. **მთვრალობა** და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 15 კ.
20. **ცხვრის ყვავილი,** ფ. 5 კ.
21. **ქვეყნიერების მასალა** ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კ.
22. **ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები,** ფ. 5 კ.
23. **გმირი როლანდი,** მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კ.
24. **დრო გონს მოვიდეთ!** ანუ ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კ.
25. **მეთევზის შვილი,** სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. **ხტუნია-ციყუნია,** სურათებით, საყმაწვილო წიგნი, ფ. 10 კ.
27. **ლინჰარდი და გერტრუდა,** პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კ.
28. **ცივილიზაციის ისტორია ინგლისში,** ბოკლისა, ფ. 40 კ.
29. **შიო—თავადი,** ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კაპ.
30. **ცხენის წურბელა,** მოთხრობა ხალხის ცხოვრებიდამ, ფ. 10 კ.
31. **მაჭმადი და ცხოვრება-მოქმედება,** სურათებით, ფ. 10 კაპ.
32. **როგორ ცხოვრობენ ჩინელები,** ფ. 10 კ.
33. **დარვინიზმი,** პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კ.
34. **სიფრთხილეს თავი არ სტკივა** ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. **აღზრდა შვილისა,** თხზ. ბემესი, ფ. 15 კ.
36. **ტყის გონიერი მოვლა-გაშენება,** ფასი 10 კაპ.
37. **ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში,** ფ. 10 კ.
38. **საქონლისათვის საკვები ბალახების თესვა-მოყვანა,** სურათებით, ფ. 20 კ.
39. **სარკე გურულთა ცხოვრებისა,** ფ. 5 კ.
40. **ისტორია სწავლა-აღზრდისა,** ფ. 10 კ.
41. **ალბომი „ქართველთა ტიპები“,** ასი მეტი სურათით, ფ. 70 კ.
42. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ფ. 5 კ.

ვინც ერთის მანეთისას ანუ მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხვედრი ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯათაც სამ-სამი კაპეიკი წაემატოს თვითოეულ დაბარებულ წიგნზედ.

**ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Могзаури“ Ивану Павловичу Ростомашвили. ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთსავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ.

(10—3)

---


ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

---

## იძლევა ქირით

თავად-აზნაურთა ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე:

## ოთხი ოთახი

მესამე სართულში, სადაც სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულო იყო

## ერთი მაღაზია

„ივერიის“ რედაქციის კანტორის გვერდზე;

## საწყობები

სხვა-და-სხვა ადგილას, ზემო და ქვემო სართულში.

პირობების შეტყობა შეიძლება თავად-აზნაურთა ქარვასლის გამგე კანტორაში. (4—166—4)

---

## ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

**სოსიკო მერკვილაძის** მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა. ფასი | 15 ,, |
| **თამარ მეფის სურათი** აკაკის ლექსით | 6 ,, |
| **პატარა ჩონგური** ლექსი (დედა-ენა) | 5 ,, |
| **თამარ მეფე** მოთხრობა აკაკისა | 5 ,, |
| **ვაჟრული ჭკუა,** ლექსი აკაკისა | 5 ,, |
| **დათუნა გოცირიძე** / **როსტომ ერისთავი** — ძველებური ამბავი აკაკისა | 5 ,, |
| **აბრამის და იოგის** ლექსი | 3 ,, |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) | 5 ,, |
| **ორი ქოსატყუილა** / **ბიჭია მენახირე** / **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი. | 10 ,, |

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას, იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

---

„გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

## ბარტლეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 іюля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе). д. Груз. Дворянства. დროებით-რედაქტორი ზ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი